“50-პროცენტიანი ჩემპიონი”

სოხუმი. “დინამოს” სტადიონი. 22 მაისი.

“დინამო” (სოხუმი) - “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

სოხუმი: პაპასკირი, დარახველიძე, უსტაბაშიდი, ზარია, კიკორია, ძოძუაშვილი, შ. სიჭინავა, ფიფია, ენიკი, მინჯია, ჭითანავა (სვირიდოვი).

თბილისი: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ჭელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, იამანიძე, ძიძიგური, მაისურაძე, ხუციშვილი, დათუნაშვილი (ხარტიშვილი).

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სანახავად, რომელიც აფხაზეთის დედაქალაქში ეთამაშებოდა ადგილობრივ თანაკლუბელებს, მივიდა მაყურებელთა რაოდენობა, როგორიც ჯერ არ უნახავს აქაურ სტადიონს. ფეხბურთის მოყვარულთა შორის მრავლად იყვნენ ჩამოსულნი ფოთიდან, ზუგდიდიდან, გაგრიდან და სხვა ადგილებიდან. ეს ინტერესი გასაგებია, მაგრამ თბილისის “დინამოს” მთელი რიგი გამოჩენილი ოსტატები არ გამოსულან მინდორზე და მაყურებლებმა ფაქტიურად იხილეს თავისებური “50-პროცენტიანი ჩემპიონი”, რომლის ასე ვთქვათ, მეორე ნახევარს დუბლიორები წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ამისა, მატჩმა ძირითადად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მოწინააღმდეგის მაღალ ტექნიკურ ოსტატობას სოხუმელებმა დაუპირისპირეს კოლექტიური, მონდომებული და თავგანწირული თამაში.

თბილისელებმა მე-11 წუთზე გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც გოლით დაამთავრა ძიძიგურმა - 1:0. შემდგომში ჩემპიონებს ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ (იამანიძე, მაისურაძე), რომლებიც არ იქნა გამოყენებული.

ეს ანგარიში ბოლომდე შემორჩა მატჩს და ჩემპიონმა გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

ზ. გვილავა.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

***

თბილისის “დინამო” სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალში გავიდა. 2 ივნისს იგი მოსკოვში შეხვდება ადგილობრივ ცსკა-ს.

“ლელო”, 23 მაისი, 1965 წ.